

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და წინადადებები
საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარმოდგენილ
კანონპროექტზე
„საქართველოს ტყის კოდექსი“



გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

20 თებერვალი, 2020

2020 წლის 12 თებერვალს საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში გაიმართა სხდომა, სადაც მეორე მოსმენით განიხილეს კანონპროექტი „საქართველოს ტყის კოდექსი“. სხდომაზე მწვანე ალტერნატივამ თავისი შენიშვნები და შესატან ცვლილებებთან დაკავშირებული წინადადებები წარმოადგინა.

ტყის კოდექსი პირველი მოსმენით პარლამენტმა გასული წლის გაზაფხულზე განიხილა და პირველი მოსმენით დაამტკიცა. მეორე მოსმენისთვის წარმოდგენილ ვარიანტში გამოსწორებულია არაერთი ხარვეზი, რომელიც ინიცირებულ კანონპროექტს ჰქონდა და რომლებზეც მიუთითებდა მწვანე ალტერნატივა. მათ შორის გამოვყოფთ შემდეგს: დაშვებულ იქნა ადგილობრივ თვითმმართველობებზე საქართველოს ტყის ნაწილის გადაცემა, გათვალისწინებული იქნა სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ტყის მერქნული პროდუქტებით უზრუნველყოფა, რიგ შემთხვევებში გაუმჯობესდა საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები, შეიცვალა „ტყის მართვის ორგანოს“ სამართლებრივი ფორმა, ტყის დამოუკიდებელი ნებაყოფლობითი სერტიფიცირების საკითხი, ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონქვემდებარე აქტის შემუშავების ვალდებულება დაემატა.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ხელი შეუწყო დისკუსიამ, რომელიც პირველი მოსმენით პლენარულ სესიაზე კენჭისყრამდე გაიმართა პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომაზე; ასევე კომიტეტის ინიციატივით სამინისტროსა და ექსპერტებს შორის შემდგომმა შეხვედრამ. სამწუხაროდ, მიუხედავად საკითხის აქტუალობისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა, ერთი წლის განმავლობაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეტი შეხვედრა არ გაუმართავს დაინტერესებული მოქალაქეებთან, ექსპერტებთან, სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, ჯერ კიდევ რჩება სერიოზული პრობლემები, რომლებიც ეტაპობრივად უნდა გამოსწორდეს პარლამენტის პლენარულ სესიაზე მეორე მოსმენით კენჭისყრამდე. ამასთანავე, არის საკითხებიც, რომლებიც შესაძლებელია გამოსწორდეს მესამე მოსმენაზეც.

აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტის მეორე მოსმენით პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გატანამდე, შედგეს სამუშაო შეხვედრები ექსპერტებს, სამინისტროსა და პარლამენტის წარმომადგენლებს შორის, რისი აუცილებლობის შესახებ 12 თებერვლის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა მისმა თავმჯდომარემ ქალბატონმა ნინო წილოსანმა. იმედს გამოვთქვამთ, რომ არსებული ხარვეზების გამოსწორების შემდეგ საქართველოს უახლოეს პერიოდში ექნება ახალი ტყის კოდექსი.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

მენიშვნები და წინადადებები კანონპროექტის მუხლების მიხედვით

თავი I ზოგადი დებულებანი

• მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- ბ.ა) ქვეპუნქტს დაემატოს სიტყვები „ხოლო ხეთა სიმაღლე აღემატება 3 მეტრს“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ბ.ა) ტყის შემქმნელი სახეობებით დაფარული ტერიტორია - ტყის შემქმნელი მერქნიანი მცენარის ერთი ან რამდენიმე სახეობით დაფარული მინიმუმ 10 მეტრი სიგანისა და არანაკლებ 0.5 ჰექტარი მიწის ფართობი, სადაც ხეთა დგომის სიმჭიდროვე ფართობის ერთეულზე შეადგენს არანაკლებ 0.1 სიხშირეს, ხოლო ხეთა სიმაღლე აღემატება 3 მეტრს“.

ცვლილების განმარტება:

დამკვირვებელი საერთაშორისო პრაქტიკით¹, ტყის განსაზღვრებაში მნიშვნელოვანია შეტანილი იქნას რაოდენობრივი პარამეტრები - მინიმალური ფართობი, სიხშირე, ასევე სიმაღლე. ვინაიდან კანონპროექტში, ტერმინის „ხე“ განმარტებაში ისედაც მითითებულია „სიმაღლე 3 მეტრი“, ეს ცვლილება რედაქციულად შეიძლება ჩაითვალოს და გათვალისწინებული იქნას მესამე წაკითხვის დროს.

• მუხლი 2. ტერმინთა განმარტება. „ჰ) ტყეკაფი“

- დაემატოს ერთი სიტყვა „ზეხმელი“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ჰ) ტყეკაფი - საქართველოს ტყის უბანი, რომელზეც განსაზღვრულია მოსაჭრელი, ზეხმელი და ძირნაყარი ხეების ოდენობა ან/და მონიშნულია მოსაჭრელი ხეები“.

ცვლილების განმარტება:

ტყის მდგრადი მართვის თანამედროვე პრინციპები მოითხოვენ, რომ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები, მათ შორის ხე-ტყის დამზადება უნდა ხდებოდეს „ბუნებასთან ახლოს“ მიდგომით, რაც გულისხმობს ხე-ტყის დამზადებისას გარკვეული რაოდენობით ძირნაყარი, ზეხმელი და ფაუტი ხეების დატოვებას (ტყის ბუნებრივი დინამიკის და ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით). ინგლისურენოვან ლიტერატურაში გვხვდება ტერმინი „deadwood“, რაც ზეხმედგომ და ძირნაყარ მკვდარ ხეებს აღნიშნავს. მაგალითად, ევროპაში ტყეკაფში სხვადასხვა ფერით ინიშნება მოსაჭრელი და აუცილებლად დასატოვებელი ხეები.

აღნიშნავთ, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი კომპლექტის სხდომაზე ამ ცვლილებას დაეთანხმნენ სამინისტროსა და პარლამენტის წარმომადგენლები.

• მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- ტერმინთა განმარტებას დაემატოს ტერმინი „ჰაბიტატური ხე“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით

„ჰ¹⁰) ჰაბიტატური ხე - ზეხმელი ან ცოცხალი, დიდი ზომის ასაკოვანი ხეები, რომლებზეც წარმოდგენილია ფულუროები, სიდრუები, ხმელი ტოტები, ეპიფიტები (ანუ მცენარეები, რომლებიც სახლდებიან სხვა მცენარეების ღეროებსა და ტოტებზე) და ქმნიან საბინადრო გარემოს სხვადასხვა ორგანიზმისთვის²“.

ცვლილების განმარტება:

ამ ტერმინის შემოტანის აუცილებლობა, ისევე როგორც ტერმინ „ტყეკაფში“ სიტყვა „ზეხმელის“ დამატება, გამომდინარეობს ტყის მდგრადი მართვის თანამედროვე პრინციპების მოთხოვნებიდან. სამწუხაროდ, კანონპროექტში გამორჩენილია „ჰაბიტატური ხეების“ საკითხი, რის გარეშე წარმოუდგენელია ტყის მდგრად მართვა. ჰაბიტატური ხეებს სპეციალიზებული ფლორისა და ფაუნისთვის უპირველესი მნიშვნელობა გააჩნიათ. კორომში ჰაბიტატური ხეების და უბნების შენარჩუნება ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების მაღალი დონის დაცვას და ეკოსისტემის უკეთეს ფუნქციონირებას, ასევე აჩქარებს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის ფუნქციონირების აღდგენას დაზიანებულ კორომებში. საზოგადოდ, კორომში, სადაც ჭრა არის დანიშნული, ერთ ჰექტარზე სულ მცირე ხუთიდან ათამდე ჰაბიტატური ხე უნდა შენარჩუნდეს. სულ მცირე ზეხმელი ხეების 10% ადგილზე უნდა დარჩეს. ლანდშაფტის დონეზე, ტყის მინიმუმ 10%-ში ბუნებრივი

¹ იხ. <http://www.fao.org>

² ტერმინი შედგენილია სამეცნიერო განმარტებების მიხედვით: Habitat trees - “standing live or dead trees providing ecological niches (microhabitats) such as cavities, bark pockets, large dead branches, epiphytes, cracks, sap runs, or trunk rot” (Bütler, R., Lachat, T., Larrieu, L., & Paillet, Y., 2013).

პროცესებში ჩარევა (ჭრები და სხვა ღონისძიებები) არ უნდა ხდებოდეს. ტერმინების განმარტებაში ამ ტერმინის დამატება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს ტერმინი ასევე უნდა დაემატოს რამდენიმე მუხლში.

სამინისტროს წარმომადგენლებს რეალური არგუმენტი არ ჰქონდათ ამ ტერმინის საწინააღმდეგოდ და შემოგვთავაზეს მისი შემდგომი განხილვა. ხოლო კომიტეტის თავმჯდომარემ ნინო წილოსანმა აღნიშნა, რომ თუ „პ“ პუნქტი ემატება სიტყვა „ზეხმელი“, ამ ტერმინის დამატებაც საკვებით ლოგიკურია.

• **მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

- ტერმინთა განმარტებას დაემატოს ტერმინი „ევროპის ტყეების“ ტყის კლასები და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ევროპის ტყეების“ ტყის კლასები - „ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის“ (MCPFE) – „ევროპის ტყეების“ (Forest Europe), ვენის მეოთხე მინისტრიალის მე-4 რეზოლუციით (“ევროპის ტყეების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგომარეობის გაუმჯობესება”) განსაზღვრული ტყეების კლასები. „ევროპის ტყეების“ ტყის თითოეულ კლასს შესაბამება ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების კატეგორია, რომელიც გამოყენებულია საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის დაგეგმვისა და მართვისას; ასევე ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) კატეგორიას და გამოიყენება „ნატურა 2000“ და „ზურმუხტის ქსელის“ ტერიტორიების გამოყოფისა და მართვისას“.

ცვლილების განმარტება:

ტერმინის დამატება საჭიროა, ვინაიდან მომდევნო მუხლებში გამოყენებულია ეს ტერმინი.

• **მუხლი 4. ტყის მდგრადი მართვის პრინციპები**

- მე-4 მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები შესაბამება საქართველოს ეროვნულ კონცეფციას და ეფუძნება მდგრადი განვითარების პრინციპებს და ევროპის ტყეების დაცვის მინისტრიალის („ევროპის ტყე“) მიღებულ პრინციპებსა და ინდიკატორებს“.

ცვლილების განმარტება:

ამ მუხლში ჩვენი რეკომენდაცია ნაწილობრივ გათვალისწინებულია - მე-2 პუნქტით განისაზღვრა კანონქვემდებარე აქტის შემუშავება, რომლითაც დგინდება ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები. თუმცა, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ამ მუხლში გაიწეროს პრინციპული საკითხები/განმარტებები, რომლებიც ამ ნორმატიული აქტის მიმართულებას განსაზღვრავენ და მიეთითოს, რითი უნდა იხელმძღვანელოს მთავრობამ ამ დებულების შემუშავებისას. ცნობილია, რომ ტყის მდგრადი მართვის პრინციპებისა და ინდიკატორების ჩამოყალიბება ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ერთ-ერთ ვალდებულებასაც წარმოადგენს. ასევე, „ეროვნულ სატყეო კონცეფციაში“, ტყის მდგრადი მართვის დანერგვისათვის ერთ-ერთ განსახორციელებელ ქმედებას წარმოადგენს „საქართველოს ტყის ფონდის მართვის უზრუნველყოფა სათანადო სახელმწიფო ზედამხედველობით და შესაბამისი სტანდარტებით, კერძოდ, ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის („ევროპის ტყეები“) მიერ დამტკიცებული ტყის მდგრადი მართვის საოპერაციო სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად“ (მუხლი 5.1.3).

ამ მიმართულებით საერთაშორისო დაფინანსებით სამინისტრომ განახორციელა არაერთი პროექტი, მომზადდა შესაბამისი დოკუმენტები. ამ ფონზე გასაკვირია, რომ კანონპროექტში არ აისახა ამ დოკუმენტების რეკომენდაციები.

საგულისხმოა, რომ კანონპროექტის ტერმინების განმარტებაში მოცემულია ტერმინი „უ) მდგრადი განვითარების პრინციპები“, რომელიც კანონპროექტის ტექსტში შემდგომში არ არის გამოყენებული (მხოლოდ პრეამბულაშია ნახსენები).

პარლამენტის კომიტეტის სხდომის მიმდინარეობამ დაადასტურა, რომ ასეთი დამატების გაკეთება აუცილებელია (ნათლად გამოჩნდა ტყის კატეგორიზაციასთან და მდგრად მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე დისკუსიისას).

• **მუხლი 4. ტყის მდგრადი მართვის პრინციპები**

- პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს უნდა დაემატოს სიტყვები: „ზემოქმედების თავიდან არიდების, ზემოქმედების შერბილების და გამოვალ შემთხვევაში, ასევე როდესაც სრულად ვერ ხერხდება

ზემოქმედების თავიდან აცილება და შერბილება“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„დ) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით საქართველოს ტყის არასატყეო მიზნით გამოყენებისას უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ზემოქმედების თავიდან არიდების, ზემოქმედების შერბილების და გამოუვალ შემთხვევაში, ასევე როდესაც სრულად ვერ ხერხდება ზემოქმედების თავიდან აცილება და შერბილება - საკომპენსაციო ღონისძიებები, გარდა ამ კოდექსით დადგენილი გამონაკლისებისა“.

ცვლილების განმარტება:

წარმოდგენილი სახით ქვეპუნქტი არ შეესაბამება მდგრადი მართვის პრინციპებს. მდგრადი გამოყენების პრინციპების მიხედვით (ე.წ. გარემოზე ზემოქმედების შემცირების იერარქია ანუ პირამიდა) ტყის არასატყეო მიზნით გამოყენებისას (რაც რეალურად ტყის ეკოსისტემის განადგურების მნიშვნელობით გამოიყენება) საკომპენსაციო ღონისძიებები ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამოწურულია ამ ზემოქმედების თავიდან არიდების შესაძლებლობები, გატარებულია შემარბილებელი და აღდგენის ღონისძიებები. თუ თავიდან არიდების, შერბილების და აღდგენის ღონისძიებების განხილვა წინ უსწრებს კომპენსირება - როგორც ეს კანონპროექტშია მოცემული, ეს უცილობლად გამოიწვევს ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას. ტყის ეკოსისტემებზე გამანადგურებელი ეფექტის მქონე საქმიანობა ყოველთვის მოითხოვს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გადაწყვეტილებას და შესაბამისად, არ ჩაუტარდება გზმ. მაგალითად, ასეთ საქმიანობებს განეკუთვნება წიაღის ღია კარიერული წესით მოპოვება 10 ჰექტარზე ნაკლებ ფართობზე, ან ნებისმიერი მოცულობით/ნებისმიერ ფართობზე ქვიშა-ხრემის მოპოვება (მათ შორის სამეურნეო და საკურორტო და სარეკრეაციო ტყეში), 50 ჰექტარზე მეტი ტყის გაჩეხა სხვა კატეგორიის მიწად გარდაქმნისა და გამოყენების მიზნით; 2 მეგავატამდე ჰესის აშენება, 5 კილომეტრზე ნაკლები მილსადენის გაყვანა, 10000 მ³-ზე ნაკლები მოცულობის წყალსაცავის მშენებლობა. ტყითსარგებლობის ისეთი სახეები, როგორებიცაა სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა, საკურორტო, სარეკრეაციო, სპორტული მიზნით სარგებლობა, თევზის მეურნეობის მიზნით ტყითსარგებლობა და სხვ.

ამ დამატების საწინააღმდეგო არგუმენტი სამინისტრომ კომიტეტის სხდომაზე ვერ წარმოადგინა.

• მუხლი 5. ტყეზე საკუთრების უფლება

- მე-6 პუნქტს უნდა დაემატოს შემდეგი სიტყვები: „მათ შორის ამ კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები ტყის მართვაში მეტყევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის სავალდებულო მონაწილეობასთან დაკავშირებით.“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„6. ამ კოდექსით დადგენილი წესები ვრცელდება საქართველოს ტყეზე, მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, მათ შორის ამ კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები ტყის მართვაში მეტყევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის სავალდებულო მონაწილეობასთან დაკავშირებით“.

- მე -5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მქონე მე-7 პუნქტი:

„7. სახელმწიფო ტყის კერძო ან მუნიციპალურ საკუთრებაში ან მართვაში გადაცემას აუცილებელი წინაპირობაა კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლებით განსაზღვრული ტყის კატეგორიზაციის და კოდექსის 25-ე მუხლით განსაზღვრული ტყის ეროვნული აღრიცხვის ჩატარება“.

ცვლილების განმარტება:

საქართველოში ნებისმიერ ტყეზე უნდა ვრცელდებოდეს მართვისა და გამოყენების ერთნაირი სტანდარტები, მიუხედავად საკუთრების ფორმისა. ადგილობრივ თვითმმართველობებზე ტყის ფართობების ნაწილის გადაცემის მცდელობა იყო 2007 წელსაც, მაგრამ წარუმატებლად დამთავრდა, რისი ძირითადი მიზეზიც ის იყო, რომ ამ ტყეებში არ იყო ჩატარებული ტყეთმორწყობა და უცნობი იყო იქ არსებული რეალური ეკოლოგიური ვითარება.

• მუხლი 7. ტყის კატეგორიებად დაყოფა და მართვის ამოცანები

- მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„6. ფუნქციური დანიშნულებით ტყეების კატეგორიებად დაყოფა ხორციელდება „ევროპის ტყეების“ ტყის კლასების გათვალისწინებით. „საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემის, კატეგორიზაციისა და მონიტორინგის წესის“ შესაბამისად“

ცვლილების განმარტება:

ამ ცვლილებით შედის როგორც რედაქციული, ისე მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ცვლილება. რაც შეეხება

რედაქციულს: კანონპროექტი ზოგჯერ გამოყენებულია ტერმინი ტყეების კატეგორიებად დაყოფა, ზოგჯერ - ტყეების ფუნქციური დანიშნულებით დაყოფა. დამაბნეველია და ჯობია, რომ გასწორდეს.

რაც შეეხება მნიშვნელოვან მინარსობრივ შესწორებას: ამ (ასევე მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი და სხვა მუხლებით), რომელიც ტყეების კატეგორიებად დაყოფას უკავშირდება, კანონპროექტი საკმაოდ წინააღმდეგობრივ და არალოგიკური რეგულაციას გვთავაზობს. არასწორად არის გაგებული კატეგორიებად დაყოფის არსი და დანიშნულება. ტყის ფუნქციური დანიშნულებით კატეგორიებად დაყოფა ერთიანად უნდა ხდებოდეს მთელი საქართველოსთვის - ეს არის ტყის მდგრადი მართვის ამ ინსტრუმენტის არსი. შესაბამისად, არასწორია, რომ ამ ფუნქციას ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე გააკეთებს ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ორგანო, თბილისის ტერიტორიაზე - თბილისის მუნიციპალიტეტი და მხოლოდ ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე - სამინისტრო. თუ კანონპროექტის მე-18 მუხლის მიხედვით, სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება „საქართველოს ტყის მართვის დარგობრივი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება“ და „ტყის სფეროში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარება“, მაშინ სამინისტრომ უნდა ჩაატაროს ტყის ფუნქციური დანიშნულებით კატეგორიებად დაყოფა მთელი ქვეყნის მასშტაბით. კატეგორიებად დაყოფა არის ტყესთან დაკავშირებული ერთიანი პოლიტიკის გატარების ძირითადი ინსტრუმენტი. სხვა ასეთივე ინსტრუმენტია საქართველოს ტყის ეროვნული აღრიცხვის ჩატარება, რომელსაც, სრულიად სამართლიანად, კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განეკუთვნება სამინისტროს კომპეტენციას.

ტყის ოთხი კატეგორიიდან ერთ-ერთი არის „დაცული ტყეები“, რომელიც გულისხმობს არსებულ და პოტენციურ დაცულ ტერიტორიებს. ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებულ დაცულ ტერიტორიებს მართავს სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო და არა ავტონომიური რესპუბლიკები (მაგ. აჭარის ტერიტორიაზე მდებარე მტირალას, მაჭახელას, ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს მართავს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო და არა აჭარის ა/რ-ის მთავრობა). ეს ერთი მაგალითიც კი საკმარისია იმის გასააზრებლად, რომ ფუნქციური დანიშნულებით ტყეების კატეგორიებად დაყოფას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა ახდენდეს სამინისტრო.

გარდა ზემოხსენებულისა, იმისათვის, რომ მეტი სიცხადე იყოს ამ მუხლით განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტის - „საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემის, კატეგორიზაციისა და მონიტორინგის წესის“ - შინაარსსა და პრინციპებზე აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს ტყეების კატეგორიებად დაყოფა განხორციელდება „ევროპის ტყეების“ ტყის კლასების გათვალისწინებით.

ქვემოთ განმარტებულია კავშირში ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების კატეგორიებს, ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) კატეგორიებს და „ევროპის ტყეების“ ტყის კლასებს შორის:

1. „ევროპის ტყეების“ კლასიფიკაცია - „ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის“ (MCPFE) – „ევროპის ტყეების“ (Forest Europe), ვენის მეოთხე მინისტრიალის მე-4 რეზოლუციით (“ევროპის ტყეების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგომარეობის გაუმჯობესება”) განსაზღვრული ტყეების კლასიფიკაცია. MCPFE-ის თითოეულ კლასს შეესაბამება ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების კატეგორია, რომელიც გამოყენებულია საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის დაგეგმვისა და მართვისას; ასევე ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) კატეგორიას და გამოიყენება „ნატურა 2000“ და „ზურმუხტის ქსელის“ ტერიტორიების გამოყოფისა და მართვისას.

ცხრილი 1. ტყეების კლასიფიკაცია MCPFE-ის კლასების მიხედვით და მისი შესაბამისობა ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) და ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) კატეგორიებთან

MCPFE-ის კლასები / მართვის ძირითადი ამოცანა		EEA	IUCN
კლასი1: მართვის ძირითადი ამოცანა - ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია	1.1. აქტიური ჩარევის გარეშე	A	I
	1.2. მინიმალური ჩარევა	A	II
	1.3. კონსერვაცია აქტიური ჩარევის გზით	A	IV
კლასი 2: მართვის ძირითადი ამოცანა - ლანდშაფტებისა და ბუნების კონკრეტული ელემენტების დაცვა		B	III, V, VI
კლასი 3: მართვის ძირითადი ამოცანა - დაცვითი ფუნქციების შენარჩუნება		(B)	

• **მუხლი 8. დაცული კატეგორიის ტყე**

- 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ბ) ტყეები, სადაც აღინიშნება ბიომრავალფეროვნების ელემენტების მაღალი კონცენტრაცია გლობალურ, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე (ქვეყნის კანონმდებლობით დაცული სახეობები, IUCN-ის „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობები და მინიმუმ ერთი ენდემური და / ან რელიქტური სახეობა); ბუნებრივი ლანდშაფტის წარმომქმნელი ტყეები (მათ შორის სუბალპური და ჭალის ტყეები). ტყეები, რომლებიც მოიცავენ იშვიათ ან საფრთხის ქვეშ მყოფ ეკოსისტემებს (მათ შორის ეკოსისტემები, რომლებიც მაღალი ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან, მავნებელ-დაავადებათა გავრცელების ან ეპიდემიური მდგომარეობის ზონები).

- მე-3 პუნქტიდან ამოღებული უნდა იქნას ბოლო წინადადება: „ასეთი კატეგორიის დაცული ტყის მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმალური ჩარევა“.

ცვლილების განმარტება:

2015 წელს „მწვანე ალტერნატივას“ მიერ შემუშავებული კატეგორიზაციის სისტემა მექანიკურად შემოკლდა, რის შედეგადაც გაუაზრებელი რეგულაციები მივიღეთ. ამან ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გამოიწვიოს ტყის ეკოსისტემების დეგრადაცია, ან პირიქით - ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, თანაც გარემოსდაცვითი საჭიროების გარეშე.

კანონპროექტის წარმოდგენილი რედაქციით, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაცულ ტყეებში შედის „ბუნებრივი ლანდშაფტის წარმომქმნელი ჭალისა და არიდული ტყეები, აგრეთვე ტყე, რომელიც მოიცავს ენდემურ სახეობებს.“ სამეცნიერო თვალსაზრისით არასწორი განმარტებაა და პრობლემებს შექმნის მენეჯმენტის პროცესში. შეიძლება სახეობა არ იყოს არც ენდემი არც რელიქტი, მაგრამ კონსერვაციული სტატუსი ჰქონდეს გლობალურ, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე, დაცული იყოს ეროვნული კანონმდებლობით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით. ამ განსაზღვრების მიხედვით აღმოჩნდება, რომ დაცული ტყეები, სადაც ახალი დაცული ტერიტორიები უნდა შეიქმნას, არ შეიძლება იყოს „ბუნებრივი ლანდშაფტის წარმომქმნელი“ წიფლნარი, წაბლნარი ან ფიჭვნარი ტყეები; ასევე, ტყეები, სადაც კონცენტრირებულია ბერნის კონვენციით დაცული ჰაბიტატები (ბერნის კონვენციით დაცულია ევროპული მნიშვნელობის ჰაბიტატები და სახეობები და არა ენდემური სახეობები).

წარმოდგენილი კანონპროექტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ ამ პუნქტით განსაზღვრული ტყეებისთვის კონსერვაცია უზრუნველყოფილი უნდა იქნას აქტიური მენეჯმენტით. გარემოსდაცვითი ტერმინოლოგიით, „აქტიური მენეჯმენტი“ ამ შემთხვევაში ნიშნავს დაცული ტერიტორიის - ადკვეთილის მსგავსი რეჟიმის დაწესებას. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტი წინააღმდეგობაში მოდის ამავე მუხლის მე-3 პუნქტთან, რომლის თანახმადაც „ბ)“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ტყეების მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იქნას „მინიმალური ჩარევა“, რაც გარემოსდაცვითი ტერმინოლოგიით ნიშნავს მკაცრ დაცვას - IUCN I კატეგორიის მსგავსი რეჟიმის დაწესებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს ნაწილები ამოსაღებია, ვინაიდან ძალიან არასაჭირო შეზღუდვებს აწესებენ, რომლებმაც საბოლოო ჯამში შეიძლება გამოიწვიონ ტყის დეგრადაცია ან დაუსაბუთებელი შეზღუდვა ხელმისაწვდომობაზე. კონკრეტული ტყისთვის შეიძლება შეუსაბამო იყოს კონსერვაცია აქტიური მენეჯმენტის გზით და საჭირო იყოს მკაცრი დაცვა, ან შეიძლება დაიშვას რეკრეაციული სარგებლობა. ეს ყოველივე კანონქვემდებარე რეგულირებით შეიძლება განისაზღვროს.

ამავე მუხლის ფორმულირება სტილისტურად გაუმართავია: დაცვითი კატეგორიის ტყე იყოფა კიდევ ორ კატეგორიად (და არა „ქვე-კატეგორიად“). ეს აბნევს წამკითხველს, რაც დადასტურდა 2018 წელს გამართულ კანონპროექტის საჯარო განხილვაზე. აღნიშნული შენიშვნა რედაქციული ხასიათისაა და მესამე მოსმენაზეც შეიძლება გამოსწორდეს.

• მუხლი 9. დაცვითი კატეგორიის ტყე

- პირველი პუნქტს დაემატოს სიტყვები „კულტურულ-ისტორიული ძეგლების“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. დაცვითი კატეგორიის ტყეს წარმოადგენს ტყე, რომელსაც გააჩნია დასახლებული პუნქტების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, კულტურულ-ისტორიული ძეგლების, ინფრასტრუქტურისა და მოწყვლადი ტერიტორიების დაცვის ფუნქცია“.

• მუხლი 9. დაცვითი კატეგორიის ტყე

- მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:

„ო). კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები, ასევე კულტურული/ისტორიული ძეგლების მიმდებარე 20 ჰექტარამდე ტყის ფართობი

ცვლილების განმარტება:

ტყეები დაცვით ფუნქციას ასრულებენ არაერთი ისტორიული და კულტურული ძეგლისათვის. ამასთანავე, ეს დამატება მნიშვნელოვანია იმ დისკრიმინაციული ჩანაწერის გამოსასწორებლად, რომელიც მოცემულია მე-15 მუხლში.

მუხლი 9. დაცვითი კატეგორიის ტყე

- უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„3. დაცვითი ტყეების ტერიტორიაზე აკრძალულია ნებისმიერი საქმიანობა/ღონისძიება, რომელიც უარყოფითად აისახება ნიადაგისა და წყლის ხარისხზე ან/და მარეგულირებელ ეკოსისტემურ სერვისებზე, ან/და შესაძლოა შეასუსტოს ტყეების დასახლებების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების ბუნებრივი კატასტროფებისაგან პრევენციის უნარი. საჭიროების შემთხვევაში, დაცვითი ტყეების მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მინიმალური ჩარევა და/ან დაცვა აქტიური მენეჯმენტის გზით. დაცვითი ტყეები შესაძლებელია მდებარეობდნენ დაცული ტერიტორიების სხვადასხვა კატეგორიებზე, ასევე მოიცავდნენ „ზურმუხტის საიტებს“. ამ შემთხვევაში იმართება შესაბამისი კატეგორიის მართვის ამოცანის გათვალისწინებით. დაცვით ტყეებში შეიძლება აიკრძალოს ტყითსარგებლობა და მოქალაქეთა ტყეში ყოფნა (ან დაწესდეს სხვა შეზღუდვები), თუ ეს შეუთავსებელია კონკრეტული ტერიტორიის მართვის მიზანთან (მაგალითად: რელიგიურ ორგანიზაციებზე გადაცემული ფართობები).

ცვლილების განმარტება:

ამ მუხლში არ არის განსაზღვრული დაცვითი ტყეების მართვის ამოცანები/პრინციპები, განსხვავებით მე-8, მე-10 და მე-11 მუხლებით დადგენილი სხვა კატეგორიებისა. როგორც ჩანს, მექანიკურად გამოჩნათ, მაგრამ ეს ხარვეზი მეორდება 2015 წლიდან და კანონპროექტის ავტორები, მიუხედავად არაერთგზის მითითებისა, არც ასწორებენ ამ ხარვეზს და არც ამის მიზეზს ასახელებენ.

• მუხლი 10. საკურორტო და სარეკრეაციო კატეგორიის ტყე

- მე-2 პუნქტში, მეორე წინადადებაში სიტყვები „ბუნებრივ ელემენტებზე“ უნდა შეიცვალოს სიტყვებით „ბუნებრივ ღირებულებებზე“.

ცვლილების განმარტება:

შენიშვნა რედაქციული ხასიათისაა, მესამე მოსმენაზე შეიძლება გასწორდეს.

• მუხლი 12. ტყის სტატუსის მინიჭება

- პირველ პუნქტს დაემატოს სიტყვები „და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. ტერიტორიას სახელმწიფო ტყის სტატუსი ენიჭება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძველია სამინისტროს შუამდგომლობა, რომელიც შემუშავდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით“.

- მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით“.

ცვლილების განმარტება:

წარმოდგენილ რედაქციაში არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა ტყის სტატუსის მინიჭებისას, რაც ეწინააღმდეგება ტყის მდგრადი მართვის პრინციპს და საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლს. თუმცა, მე-13 მუხლი განსაზღვრული ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით. საჭიროა ორივე შემთხვევაში (ტყის სტატუსის მინიჭება და შეწყვეტა) საკითხი წყდებოდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით.

• მუხლი 15. სახელმწიფო ტყის გადაცემა საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის

- მუხლის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„სახელმწიფო ტყის საკუთრებაში გადაცემა“

- მუხლის შინაარსი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის საკუთრებაში გადაცემა ხდება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

ცვლილების განმარტება:

კანონპროექტის მიხედვით, პრაქტიკულად უქმდება ტყის პრივატიზაციის შესაძლებლობა. სახელმწიფო ტყის საკუთრებაში გადაცემა შესაძლებელი ხდება მხოლოდ სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. აღნიშნული სახით საკითხის დასმა პირველ პირში უხერხულ მდგომარეობაში აგდებს საქართველოს საპატრიარქოსა და მთავრობას. კანონპროექტიდან გაუგებარია, რატომ არ უნდა გადაეცეს სახელმწიფო ტყე სხვა სსიპ-ებს, მაგალითად უნივერსიტეტებს, სპორტულ ფედერაციებს ან სხვა რელიგიურ კონფესიებს. ამ მუხლის ასეთი სახით მიღება მომავალში შესაძლებელია საკონსტიტუციო სარჩელების საფუძველი გახდეს. განმარტებით ბარათებში არ არის ახსნილი ან საკითხთან დაკავშირებული დეტალური განმარტებები, მათი დამოკიდებულება საქართველოს კონსტიტუციასთან და საკონსტიტუციო შეთანხმებასთან.

საქართველოს საპატრიარქოსათვის იმ ტყეების გადაცემა, რომელიც ამჟამად მიჩენის წესით არის გადაცემული, ასევე სხვა ეკლესია-მონასტრების გარშემო არსებული 20 ჰექტარამდე ფართობების გადაცემა სწორი გადაწყვეტილებაა. თუმცა ეს არ უნდა მოხდეს იმგვარად, რომ შეილახოს სხვათა უფლებები. თუმცა პრობლემების მოგვარება შესაძლებელია კანონპროექტში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში. შემოთავაზებული ცვლილებების მიხედვით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის არაფერი არ იცვლება - მათ ისევე გადაეცემათ საკუთრებაში დღეს მიჩენის წესით გადაცემული ტყეები, ასევე ეკლესია-მონასტრების გარშემო არსებული 20 ჰექტარამდე ფართობების სხვა ტყეები, თუმცა კანონი აღარ იქნება დისკრიმინაციული და არ გახდება პოლიტიკური დაპირისპირების საბაბი.

• მუხლი 16. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება

- კანონპროექტის მიზნებიდან გამომდინარე, უკეთესი იქნება, თუ ეს მუხლი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

„საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ტყის, მისი ბიომრავალფეროვნებისა და რესურსების მნიშვნელობის, ასევე ტყის მდგრადი მართვის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება“.

ცვლილების განმარტება:

ცვლილება რედაქციული ხასიათისაა.

• მუხლი 17. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა

- მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2. ტყესთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/მუნიციპალური ორგანოები უზრუნველყოფენ ტყის მართვის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას და ტყის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

ცვლილების განმარტება:

წარმოდგენილი რედაქციით, მუხლის სათაურია „ჩართულობა“, მაგრამ სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალური ორგანოები უზრუნველყოფენ მხოლოდ საზოგადოების ინფორმირებას არა ჩართულობაზე (ანუ გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობას). საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფილია მხოლოდ ტყის მართვის გეგმის დამტკიცებისას (მტკიცდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით). მხოლოდ ეს მექანიზმი არ არის საკმარისი ტყის მდგრადი მართვის უზრუნველყოფისათვის და ანტიკორუფციული მექანიზმების შემოღებისათვის. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქართველოს ტყისათვის სტატუსის შეწყვეტისა და მინიჭებისას, ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭებისას, ხანგრძლივადიანი ტყითსარგებლობის უფლების მინიჭებისას, ტყის დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცებისას.

თავი II

უფლებამოსილება სატყეო პოლიტიკის, მართვისა და ზედამხედველობის სფეროში

• **მუხლი 18. სამინისტროს კომპეტენცია**

- 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან ამოღებული უნდა იქნას სიტყვები „გარდა ავტონომიური რესპუბლიკების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტყეებისა“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„გ) ტყის ფუნქციური დანიშნულებით დაყოფა „საქართველოს ტყის კატეგორიებად დაყოფისა და მართვის წესის“ შესაბამისად“.

ცვლილების განმარტება:

წარმოდგენილი რედაქცია არასწორად განმარტავს ტყის კატეგორიებად დაყოფის არსს.

• **მუხლი 21. ტყის მართვის ორგანო**

ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოა ამ კანონის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ინიცირებულ კანონპროექტთან შედარებით, ეს ნაწილი პრინციპულად შეცვლილია. მაგრამ კანონპროექტის განმარტებით ბარათში ამ შინაარსის საპირისპირო დასაბუთებაა მოცემული.

დამატებით დასაბუთებას საჭიროებს, მოსალოდნელია თუ არა ინტერესთა კონფლიქტები და მოდის თუ არა კანონპროექტი წინააღმდეგობაში „ეროვნულ სატყეო კონცეფციასთან“ („ეროვნული სატყეო კონცეფციის“ ძირითადი პრინციპი - პოლიტიკის, მართვისა და ზედამხედველობის ფუნქციების გამიჯვნა): ტყის მართვის ორგანო ახორციელებს ხე-ტყის დამზადებას, ტყის დაცვას და სანებართვო დოკუმენტაციის გაცემას. არ არის განსაზღვრული, თუ რომელი უწყება უწევს ტყის მართვის ორგანოს ზედამხედველობასა და მონიტორინგს/კონტროლს. არ არის ნათელი, ვის კომპეტენციას წარმოადგენს ტყის მართვის გეგმების შესრულების მონიტორინგი.

• **მუხლი 21. საზედამხედველო უფლებამოსილება**

ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

„1. საქართველოს ტყეში, გარდა მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ტყისა, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ხოლო მუნიციპალური ტყის შემთხვევაში - მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შექმნილი უფლებამოსილი ორგანო“.

გაუგებარია, შედის თუ არა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ფუნქციაში თუშეთის დაცული ლანდშაფტის და მუნიციპალიტეტების მიერ მართული სხვა ტყეების (ჯავახეთის და ფშავ-ხევსურეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები) კონტროლი. შესაძლოა, უკეთესი იყოს ამ საკითხის დაკონკრეტება.

თავი III

ტყის აღრიცხვა და დაგეგმვა

• **მუხლი 23. საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემა**

ტყის აღრიცხვის სისტემაში არ არის ცხადად განსაზღვრული ტყის კატეგორიებად დაყოფის ადგილი. კოდექსის თანახმად, ტყის კატეგორიებად დაყოფის მიზანია ტყის მდგრადი მართვის საფუძვლის შექმნა. ტყის კატეგორიებად დაყოფა წინ უნდა უსწრებდეს ტყის ეროვნულ აღრიცხვასა და ტყეთმონიჭობას. ტყის ეროვნული აღრიცხვის და ტყეთმონიჭობის შედეგად კი შესაძლებელია მოხდეს ტყის კატეგორიების (ანუ ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ტყის უბნებისათვის კატეგორიების მინიჭების) დაზუსტება-კორექტირება.

კანონპროექტში არ არის განსაზღვრული ტყის ეროვნული აღრიცხვისა და ტყეთმონიჭობის თანამიმდევრობა და ურთიერთმიმართება. ტყის ეროვნული აღრიცხვა და ტყეთმონიჭობა ტარდება 10 წელიწადში ერთხელ (მუხლი 25 და 26). არ არის ახსნილი, ერთსადაიმავე წლებში ხდება ეს ორი პროცესი? რომელი უფრო ადრე ტარდება? შესაძლებელია, რომ ტყეთმონიჭობა ჩატარდეს ტყის ეროვნული აღრიცხვის ჩატარებამდე?

• **მუხლი 25. საქართველოს ტყის ეროვნული აღრიცხვა**

ტყის ეროვნული აღრიცხვა ძალზე მნიშვნელოვანი პროცესია, მაგრამ კოდექსში არ არის სათანადოდ განმარტებული. მართალია, ამ მუხლში საუბარია იმაზე, რომ საკითხის დასარეგულირებლად მიღებული

უნდა იქნას ნორმატიული აქტი, მაგრამ არსად წერია, რას უნდა მოიცავდეს ეს აქტი. კანონპროექტი ვერ ასრულებს ამ მარეგულირებელი ნორმატიული აქტის ჩარჩოს ფუნქციას. ვფიქრობ, მეტი განმარტება შეიძლება, რას ნიშნავს ეს მექანიზმი, ვინაიდან ის ახალია საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში.

• **მუხლი 26. ტყეთომოწყობა**

- მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„დ) გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი იშვიათი, რელიქტური, ენდემური, შეზღუდული არეალის მქონე სახეობების მცენარეთა ასევე ჰაბიტატური ხეების გამოვლენა და მათი საკონსერვაციო ღონისძიებების განსაზღვრა“;

- „ვ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ვ) ტყის უბნებისათვის კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული კატეგორიების დაზუსტება“

- უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) ეკოსისტემაში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ზეხმელი, ფაუტი, ძირნაყარი ხეების ტყეში დასატოვებელი მოცულობის/რაოდენობის განსაზღვრა“.

ცვლილების განმარტება:

აღნიშნული ცვლილებების აუცილებლობა განპირობებულია ტყის მდგრადი მართვის თანამედროვე პრინციპებიდან გამომდინარე (პრინციპი „ბუნებასთან ახლოს“). როგორც აღვნიშნეთ, კორომში ჰაბიტატური ხეების და უბნების შენარჩუნება ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების მაღალი დონის დაცვას და ეკოსისტემის უკეთეს ფუნქციონირებას, ასევე აჩქარებს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის ფუნქციონირების აღდგენას დაზიანებულ კორომებში. საზოგადოდ, კორომში, სადაც ჭრა არის დანიშნული, ერთ ჰექტარზე სულ მცირე ხუთიდან ათამდე ჰაბიტატური ხე უნდა შენარჩუნდეს. სულ მცირე ზეხმელი ხეების 10% ადგილზე უნდა დარჩეს.

„გავრცელების არეალი“ არის უხეში ტერმინოლოგიური შეცდომა, რომელიც გადმოსულია ძველი კოდექსიდან.

• **მუხლი 26. ტყეთომოწყობა**

მე-6 პუნქტის თანახმად, „ტყის მართვის გეგმების შედგენის ვალდებულება არ ვრცელდება კერძო საკუთრებაში არსებულ ტყეზე, რომლის ფართობიც არ აღემატება 50 ჰექტარს.“ 50 ჰექტარი საქართველოს მასშტაბისათვის არ არის ცოტა. ამასთანავე, გააჩნია მართვის მიზანს და 50 ჰექტარზე ნაკლები ფართობების რაოდენობას და ურთიერთგანლაგებას. თუ კერძო მფლობელობაში ერთმანეთის სიახლოვეს მოხვდება დიდი რაოდენობით ტერიტორიები (თუნდაც თითოეულის ფართობი 50 ჰა-ს არ აღემატებოდეს), შესაძლებელია ამან გამოიწვიოს მნიშვნელოვანი კუმულაციური ეფექტი.

შესაძლებელია 50 ჰა შეიცვალოს უფრო ნაკლები რაოდენობით.

• **მუხლი 28. ტყის მონიტორინგი**

ამ მუხლის პირველი პუნქტი გაუმართავია სტილისტურად და შინაარსობრივად, ეს პუნქტი არ შეესაბამება ტერმინების განმარტებას (იხ. მუხლი 2, „შ“). გრამატიკულადაც კი არააფერს არ ნიშნავს, არათუ მენეჯმენტის ან სამართლებრივი კუთხით.

ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „საქართველოს ტყის მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს ტყის ეროვნული აღრიცხვის საშუალებით მუდმივ სანიმუშო ფართობებზე....“. ამ წინადადების მიხედვით, ეროვნული აღრიცხვა და მონიტორინგი ერთიდაიგივეა. ასე ჩამოყალიბებული მუხლი კიდევ უფრო ნათლად გამოაჩენს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ზუსტად განიმარტოს კოდექსში, რას ნიშნავს ტყის ეროვნული აღრიცხვა.

• **მუხლი 29. ტყის სპეციალური გამოკვლევა.**

- აუცილებელია, რომ 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ა) სპეციალური გამოკვლევა ტარდება მხოლოდ აღდგენა-გაშენებისა და ტყის დაცვის პროექტების შედგენისათვის, ასევე გამონაკლის შემთხვევებში - განსაკუთრებული სარგებლობისათვის.“,

- მე-2 პუნქტს დაემატოს სიტყვა „ერთჯერადად“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2. სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე შესაძლებელია ერთჯერადად შემუშავდეს მრავალწლიანი (არაუმეტეს 3 წლისა) პერსპექტიული გეგმა“.

ცვლილების განმარტება:

კანონპროექტის წარმოდგენილი რედაქცია უკანონო ქმედებებისა და კორუფციის შესაძლებლობებს ბადებს. ეს საკითხი გადმოტანილია 1999 წლის ტყის კოდექსიდან. ტყის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დაშვებული იყო სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობა ტყეთმორწყობის განხორციელებამდე, „სპეციალური გამოკვლევებით წინა პერიოდის ტყეთმორწყობის მასალების ყოველწლიური კორექტირების საფუძველზე“. ეს ფორმულირება გამოყენებული იქნა 2006-2009 წლებში ტყეთმორწყობის გარეშე ხანგრძლივადიანი ლიცენზიების უკანონოდ გასაცემად. ასეთი წესით ლიცენზიების გაცემამ ტყის დეგრადაცია გამოიწვია და მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანიც მიაყენა სახელმწიფოს (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაბამისი დასკვნის მიხედვით). წინამდებარე კანონპროექტის ჩანაწერიც შესაძლებელია ასეთი მანკიერი მიზნებისთვის იქნას გამოყენებული. ასეთი სახით „ტყის სპეციალური გამოკვლევის“ შემოტანა გამოყენებული იქნება სპონტანურად წარმოშობილი ამოცანების გადასაჭრელად - მაგალითად, რომელიმე კერძო სუბიექტისთვის კომერციული მიზნით, ან ე.წ. „სოციალური მიზნებისთვის“ ტყის ჭრის უფლების მინიჭება, ტყის მართვის ორგანოს მიერ კომერციული მიზნით ტყის ჭრების შეუფერხებლად და სწრაფად განხორციელება და ა.შ. საგანგაშოა, რომ ასეთ „სპეციალურ გამოკვლევას“, მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ატარებს ტყითსარგებლობით დაინტერესებული ტყის მართვის ორგანო. ასეთი რეგულაციის დაკანონება ნიშნავს, რომ კვლავ გაგრძელდება ქაოტური ტყითსარგებლობა. კანონპროექტის ეს ნაწილი ვერ პასუხობს „ეროვნული სატყეო კონცეფციამი“ და „ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმამი“ დასახულ ამოცანებს.

ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია: „სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე შესაძლებელია შემუშავდეს მრავალწლიანი (არაუმეტეს 3 წლისა) პერსპექტიული გეგმა“. რა უშლის ხელს, რომ ეს ჩანაწერი არაკეთილსინდისიერად იქნას გამოყენებული და ამ სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ კიდევ 3-3 წლით, დაუსრულებლად არ გააგრძელონ მერქნის მოპოვება ნებისმიერ სასურველ ადგილას?

ამრიგად, ეს მუხლი შეიცავს კორუფციული, კონკრეტული პირების ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღების დიდ საშიშროებას. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეს სპეციალური გამოკვლევა გამოყენებული იქნას რესურსის მოპოვებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში არასოდეს არ ჩატარდება ტყეთმორწყობა.

• მუხლი 29. ტყის სპეციალური გამოკვლევა.

- „გ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„გ) განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მოსაპოვებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გეოლოგიური კვლევის შედეგების (როდესაც საქმიანობა ხორციელდება 36^ე- და მეტ დაქანების ფერდობზე), მერქნული რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემებისა და ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის შესახებ. ამ პუნქტით დადგენილი მოთხოვნა არ ვრცელდება გზმ-ს დაქვემდებარებულ საქმიანობაზე. გზმ-ს დაქვემდებარებულ საქმიანობებისათვის ტყის სპეციალური გამოკვლევა უნდა იყოს გზმ-ს შემადგენელი ნაწილი“.

თავი IV ტყით საერთო სარგებლობა.

• მუხლი 36. ტყით საერთო სარგებლობის უფლების ფარგლები

მე-2 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია ტყით საერთო სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ საკუთარი ინიციატივით ტყეში ინვაზიური და გენეტიკურად მოდიფიცირებული სახეობების დარგვა“.

ამ ქმედებების განხორციელება უნდა გამორცხადებული იყოს უკანონოდ ყველა იურიდიული და ფიზიკური პირისათვის არა მხოლოდ „საკუთარი ინიციატივის“ შემთხვევაში იკრძალებოდეს.

36-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი

„4) ტყით საერთო სარგებლობა შეიძლება შეიზღუდოს კონკრეტული ტყის უბნის კატეგორიის მთავარი ამოცანიდან და დაცვის რეჟიმიდან გამომდინარე“.

ცვლილების განმარტება:

საჭიროა კანონპროექტში აისახოს კავშირი ტყეების კატეგორიებსა და სარგებლობის ფორმებს შორის.

თავი V. ტყით სპეციალური სარგებლობა

• მუხლი 37. ტყით სპეციალური სარგებლობის სახეები

ამ მუხლის თანახმად, ეკოსისტემაზე ყველაზე მასშტაბური ზემოქმედების მქონე საქმიანობები - განსაკუთრებული მიზნით სარგებლობა - დასაშვებია დაცულ ტყეში და დაცვით ტყეში (გარდა წიაღის შესწავლა/მოპოვებისა), ხოლო საკურორტო და სარეკრეაციო ტყეში დასაშვებია ყველა სახის განსაკუთრებული მიზნით სარგებლობა, წიაღის შესწავლა/მოპოვების ჩათვლით. ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება მდგრადი გამოყენების პრინციპებს და ამ კატეგორიების დანიშნულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ცვლილების ორი ვარიანტის განხილვა კანონპროექტის მეორე მოსმენის ფარგლებში:

ვარიანტი 1.

37-ე მუხლის მე-3 პუნქტი საერთოდ შეიძლება ამოღებული იქნას და ამის ნაცლად კარგად ჩამოყალიბდეს ყველა კატეგორიის ტყის მართვის ამოცანები და აკრძალული საქმიანობები ამ კოდექსის მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებში.

ვარიანტი 2.

- 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ტყითსარგებლობის ყველა სახე დასაშვებია სამეურნეო ტყეში. დაცულ ტყეში დასაშვებია ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ასევე სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა და განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა (გარდა წიაღის შესწავლა/მოპოვებისა). განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობისას, საქმიანობის განსაკუთრებული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა უნდა დასაბუთდეს ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის გამოყენებით, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნას ეკოსისტემურ სერვისებზე მიყენებული ზიანი. (ეს წინადადება შეიძლება დაემატოს ამ კოდექსის 68-ე მუხლის პირველ პუნქტს, ვინაიდან არ არის განსაზღვრული, რას ნიშნავს „განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა“. მაგ. სოფლისთვის სასმელი წლის მილის ან მისასვლელი გზის გაყვანა ნამდვილად არის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რასაც 100%-ით ყოველთვის ვერ ვიტყვით კერძო კომპანიის მიერ წიაღის მოპოვებაზე). დაცვით ტყეებში დასაშვებია ტყითსარგებლობის ყველა სახე, გარდა სამეურნეო ჭრით ხე-ტყის დამზადებისა და წიაღის მოპოვებისა, თუ ტყითსარგებლობა უარყოფითად არ აისახება ნიადაგისა და წყლის ხარისხზე ან/და შეასუსტებს ტყეების დაცვით ფუნქციებს (დასახლებების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების ბუნებრივი კატასტროფებისაგან პრევენციის უნარს). საკურორტო და სარეკრეაციო ტყეში დასაშვებია ტყითსარგებლობის შემდეგი სახეები: ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება - მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ასევე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსება, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა. განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობიდან აკრძალულია წიაღის შესწავლა მოპოვება, გარდა მინერალური და სასმელი წყლის მოპოვებისა“.

• მუხლი 40. ტყითსარგებლობის განხორციელება დაგეგმვის საფუძველზე

- ამ მუხლის მე-3 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ტყით სპეციალური სარგებლობის დაგეგმვისას უპირატესობა ენიჭება გრძელვადიან ტყითსარგებლობას, ტყის მრავალფუნქციურობის პრინციპის დაცვით. ტყის მრავალფუნქციურობის პრინციპი გულისხმობს, რომ ტყის სამეურნეო სახით გამოყენებისას არ უნდა დაზიანდეს ტყის ეკოლოგიური, სოციალური, ესთეტიკური და სხვა ფუნქციები“.

ცვლილების განმარტება:

ერთსადაიმავე ადგილას სხვადასხვა ტიპის ტყითსარგებლობის ნებართვის გაცემას არ ნიშნავს „მულტიფუნქციურ ტყითსარგებლობას.“ მულტიფუნქციურობა არის ტყის მდგრადი მართვის ერთ-ერთი პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ტყის ერთი ფუნქციით გამოყენებამ (მაგალითად, სამეურნეო ფუნქციით) არ უნდა გამოიწვიოს სხვა ფუნქციების (ეკოლოგიური, სოციალური, ესთეტიკური და სხვა ეკოსისტემური სერვისები) დეგრადაცია³. სწორედ ასეთი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად იყო საჭირო მე-4 მუხლში პრინციპების განმარტება

აქვე გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში ერთ ტერიტორიაზე რამდენიმე სახის ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემა არასოდეს მომხდარა - ასეთი ტყითსარგებლობისადმი ინტერესი არასოდეს გამოუხატავს კერძო სექტორს. კანონპროექტში შემოთავაზებულია ტყითსარგებლობის შემდეგი ფორმები: ტყით საკურორტო, სარეკრეაციო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა (თავი X), თევზის მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყით სარგებლობა (თავი XI), ცხოველთა თავშესაფრის, სანაშენის მოწყობის მიზნით ტყით სარგებლობა (თავი XII). ტყითსარგებლობის ეს ფორმები დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობითაც. სამინისტროდან მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, ამგვარი სარგებლობის მიზნით (ასევე კომპლექსური სარგებლობისთვის) სატყეო ფართობები არასოდეს გაცემულა. საჭიროა გაანალიზებული იქნას, თუ რა მიზეზებით არ არსებობს ამ ტიპის სარგებლობის მიმართ დაინტერესება და რა სიახლეს გვთავაზობს კანონპროექტი. სამწუხაროდ, კანონპროექტის ავტორებმა საჯარო განხილვებზე ეს კითხვა უპასუხოდ დატოვეს.

მუხლი 44. ტყის ფართობით სარგებლობის მიზნით აუქციონის ჩატარების წესი

- ამ მუხლის მე-4 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„4. ამ მუხლით განსაზღვრული აუქციონის გამოცხადებამდე ტყის მართვის ორგანო იწყებს საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას სპეციალური სარგებლობისათვის ფართობების შერჩევისა და სარგებლობის პირობების განსაზღვრის მიზნით; აღნიშნული ინფორმაცია განთავსდება ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოები უზრუნველყოფენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვას“.

ცვლილების განმარტება:

ამ მუხლით განსაზღვრული ტყითსარგებლობის ფორმები (პლანტაციური მეურნეობის მოწყობა, სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა, სამონადირეო და სათევზო მეურნეობა, სარეკრეაციო მიზნებით სარგებლობა) შეიძლება დაკავშირებული იყოს ერთის მხრივ ტყის ეკოსისტემებზე/გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, ხოლო მეორეს მხრივ - მიწათსარგებლობის შეზღუდვებთან. ეკონომისტების ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ადგილი ექნება ე.წ. გარე ეფექტს (externality), რომელიც წარმოშობს კონფლიქტს, რომლის გადაჭრა ბაზრის წესებით არ ხდება. ამას ეწოდება „ბაზრის მარცნი“ (market failure). შესაბამისად, ელექტრონული აუქციონი არ არის ამ პრობლემის მოგვარების გზა. საზოგადოების ინტერესი (გარემოსდაცვითი ან მიწათსარგებლობის უფლების კუთხით) მდგომარეობს არა იმაში, თუ ვინ იყიდის და რა ფასად გარკვეულ სავარგულებს, არამედ იმაში, ამ სავარგულის აუქციონზე გატანა ხომ არ დააზარალებს მის გარემოსდაცვით ან სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს. ამრიგად, მთავარი გადაწყვეტილება - გავიდეს თუ არა ესა თუ ის ტყის ტერიტორია აუქციონზე მიიღება სრულიად გაუმჭირვალედ, დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის გარეშე.

ამ მუხლით შემოთავაზებული რეგულირება მნიშვნელოვნად აუარესებს მოქმედი ტყის კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლებით, ასევე საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N 132 დადგენილებით (11.08.2009 N 142 და 31.10.2014 N 608 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) დადგენილ წესს, რომლის თანახმადაც, ტყითსარგებლობის აუქციონის გამოცხადებამდე, სალიცენზიოდ გასატანი ფართობების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით. კანონპროექტის შემოთავაზებული რედაქცია გვაბრუნებს 2006-2009 წლებში, როდესაც საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, გარემოსდაცვით, სოციალური და ეკონომიკური რისკების გათვალისწინების გარეშე, გაიცა ათეულობით გრძელვადიანი ხე-ტყის დამზადების ლიცენზია.

• მუხლი 44. ტყის ფართობით სარგებლობის მიზნით აუქციონის ჩატარების წესი

- ამ მუხლის 1-ლი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

³ **Multifunction – Principle:** Sustainable Forest Management shall cover and harmonize ecological, social, economic and other relevant functions of the forest.

„1. ამ კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის გ), დ), ე), ვ), ზ), ქვეპუნქტებით დადგენილი სპეციალური სარგებლობის მიზნით სახელმწიფო ტყის ფართობის გაცემა ხდება ელექტრონული აუქციონის ჩატარების საფუძველზე, ხოლო განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობის მიზნით სახელმწიფო ტყის ფართობის გაცემა ხორციელდება პირდაპირი წესით, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მინიჭების გზით, უფლებამოსილი პირის მიერ“.

ცვლილების განმარტება:

ამ მუხლის თანახმად, პირველი პუნქტი დამაბნეველია, გაუგებარია სპეციალური სარგებლობის რომელი სახეები იგულისხმება. კარგი იქნება, გაკეთდეს ეს რედაქციული ხასიათის შესწორება.

თავი VI ხე-ტყის დამზადება

• მუხლი 45. ხე-ტყის დამზადების საფუძვლები

- მე-2 პუნქტს უნდა დაემატოს წინადადება „სამეურნეო ჭრის განხორციელებისას აუცილებელია ჰაბიტატური ხეებისა და უბნების შენარჩუნება, ბუნებრივი თანასაზოგადოებების შენარჩუნებისა და აღდგენის მიზნით“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2. სამეურნეო ჭრა ხორციელდება მწიფე და მწიფეზე უხნეს კორომებში. ძირითადად იჭრება მწიფეზე უხნესი ხეები, რაც ხელს უწყობს კორომის გაახალგაზრდავებას (გაჯანსაღებას). ბუნებრივი თანასაზოგადოებების შენარჩუნებისა და აღდგენის მიზნით, სამეურნეო ჭრის განხორციელებისას აკრძალულია საფრთხის წინაშე მყოფი, იშვიათი ენდემური მერქნიანი სახეობების, ჰაბიტატური ხეებისა და უბნების ჭრა.“

ცვლილების განმარტება:

წარმოდგენილი კანონპროექტით, კონსერვაციული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კორომები (old growth forests) - მწიფე და მწიფეზე უხნესი კორომები, კვლავ განიხილებიან, როგორც მერქნული რესურსის მიღების ყველაზე მისაღები წყარო. ეს პრობლემა ჯერ კიდევ მითითებული იყო 2005 წელს დამტკიცებულ ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში (მთავრობის დადგენილება N 27, 19.02.2005) და დასახული იყო მისი აღმოფხვრის ამოცანა. ეს მიდგომა არ შეესაბამება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს; არღვევს ტყის მდგრადი გამოყენების პრინციპს, რომლის თანახმადაც, ხე-ტყის დამზადება და სხვა სატყეო სამეურნეო სამუშაოები უნდა ითვალისწინებდნენ ტყის კორომის ბუნებრივი რეჟიმის შენარჩუნებას (პრინციპი „ბუნებასთან ახლოს“).

• მუხლი 45. ხე-ტყის დამზადების საფუძვლები

- აღნიშნულ მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„4. საქართველოს ტყეებში სამეურნეო ჭრების განხორციელებისას დაცული უნდა იქნას ტყის მდგრადი მართვის შემდეგი პრინციპები

ა) პრინციპი ბუნებასთან ახლოს - სამეურნეო (მართულ) ტყეებში, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა შენარჩუნდეს და აღდგეს ტყის ბუნებრივი თანასაზოგადოებების ელემენტები, ადგილობრივი მერქნიანი სახეობებისა და ტიპიური ქვეტყის ჩათვლით. შენარჩუნდეს ჰაბიტატური, ზეხმელი, ძირნაყარი და ფაუტი ხეების (კანონმდებლობით) განსაზღვრული რაოდენობა.

ბ) საკმარისობის პრინციპი - ტყეებიდან მიღებული პროდუქცია არ უნდა აღემატებოდეს ტყის ბუნებრივ განახლებას და პროდუქტიულობას.

გ) სიფრთხილის პრინციპი - ყველა შესაძლო ღონისძიებიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ ღონისძიებებს, რომლებსაც აქვთ მინიმალური ზემოქმედება ტყესა და გარემოზე.

დ) ჩართულობის პრინციპი - ყველა საქმიანობა უნდა იქნას შეთანხმებული და განხორციელებული შესაბამის ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.

ე) გამჭირვალეობის პრინციპი - ტყის მართვასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც შეეხება დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და განხორციელების საკითხებს, ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

ვ) მრავალფუნქციურობის პრინციპი - ტყის მდგრადი მართვა უნდა მოიცავდეს და აბალანსებდეს ტყის ეკოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა შესაბამის ფუნქციებს.

ცვლილების განმარტება:

აღნიშნული ცვლილება აუცილებელია ტყის მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად და ტყის მრავალფუნქციური გამოყენების დასამკვიდრებლად; ასევე ტყის ჭრის წესებთან დაკავშირებულ კანონქვემდებარე რეგულირებაში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და ტყის მრავალფუნქციური მეტყვეობის საფუძვლების შესაქმნელად.

• **მუხლი 47. სამეურნეო ჭრა.**

- 47-ე მუხლის მე-3 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„3. პირწმინდა ჭრა დასაშვებია პლანტაციურ მეურნეობაში და აკაციის კორომებში ნულიდან 5 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე“.

ცვლილების განმარტება:

კანონპროექტის თანახმად, ტყეებში მერქნის მოპოვების მიზნით ტარდება პირწმინდა და ამორჩევითი სამეურნეო ჭრები. მოქმედ ჭრის წესებში პირწმინდა ჭრები დაშვებული იყო 5 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე, წარმოდგენილ კანონპროექტში კი, ყოველგვარი განმარტების გარეშე, პირწმინდა ჭრას დაქვემდებარებული ფართობები იზრდება.

კოლხეთის დაბლობი წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების უნიკალურ რეფუგიუმს (თავშესაფარს), სადაც შემორჩენილია ბოლო გამყინვარებას გადარჩენილი რელიქტები. პირწმინდა ჭრის დაშვება კოლხეთის დაბლობის ტყეებში წარმოადგენს საბჭოთა პერიოდის და შევარდნაძის პერიოდის კორუმპირებული აღმასრულებელი ხელისუფლების მავნებელი პრაქტიკის გაგრძელებას. ასეთმა პრაქტიკამ, რომელიც 100 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, მათ შორის დაცული ტერიტორიის ფარგლებში, კოლხეთის რელიქტურ ტყეებს დიდი ზიანი მიაყენა. ეს უნიკალური ეკოსისტემა ძალზე გადარბიდა და დაიწყო სწრაფმზარდი სახეობით - მურყნით (თხმელით) ჩანაცვლება.

აღსანიშნავია, რომ კოლხეთის ტყეები შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების წინასწარ ნუსხაში, როგორც გამორჩეული უნივერსალური ფასეულობების მქონე ეკოსისტემები. სულ ახლახან UNESCO-ში წარდგენილი იქნა წინადადება ამ ტერიტორიების მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ჩართვის მიზნით. ამის პარალელურად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრძელებს საბჭოთა მეტყვეობის ტრადიციებს და კოლხეთის დაბლობის ტყეებს უთანაბრებს რუსეთის სწორ რელიეფზე გავრცელებულ ტყეებს. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 10 იანვარს №6 ბრძანებულება „საქართველოს ტყეებში მთავარი სარგებლობის ჭრის წესის შესახებ დებულების დამტკიცებისა და ტყეების დაცვის, აღდგენა - განახლების მთელ რიგ ღონისძიებათა შესახებ“, უშვებდა პირწმინდა ჭრას კოლხეთის ეროვნული პარკის თხმელნარ კორომებში. ასეთი პრაქტიკა დღემდე გრძელდება.

სამწუხაროა, რომ კანონპროექტის ავტორები კონსულტაციისთვის არ დაკავშირებიათ არცერთ ბოტანიკოსს და ეკოლოგს და მხოლოდ საბჭოთა დროის მეტყვევების ექსპერტიზას ეყრდნობიან. უფრო მეტიც, სამინისტროს პასუხისმგებელი პირები უგულბელებყოფენ გერმანელი ექსპერტის Lutz Fähser-ის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს, რომელიც სწორედ იმისთვის იყო დაქირავებული, რომ მოეხდინა საქართველოსა და ევროპის კანონმდებლობისა შარმონიზება. მის მიერ მომზადებულ ანგარიშში „ეროვნული პრინციპები, კრიტერიუმები და ინდიკატორები საქართველოში ტყის მდგრადი მართვისთვის“ აღნიშნულია, რომ მდგრადი მეტყვეობისათვის დაუშვებელი ქმედებებს განეკუთვნება პირწმინდა ჭრა 0,3 ჰა-ზე მეტ ფართობზე. ამის ფონზე, კომიკურია სამინისტროს წარმომადგენლების მტკიცება, რომ იმიტომ არ ითვალისწინებენ გერმანელი ექსპერტის რეკომენდაციას, რომ საბჭოთა მეტყვეობა შესაბამეა გერმანულ მეტყვეობას.

• **მუხლი 50. ხე-ტყის დამზადების სამართლებრივი საფუძველი და მუხლი 51. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი და**

კანონპროექტის თანახმად, ხე-ტყეს ამზადებს ტყის მართვის ორგანო, რაზედაც თავადვე გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს. ასევე, ტყის მართვის ორგანო გასცემს ხე-ტყის წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტს. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, როგორ უნდა გაკონტროლდეს ეს პროცესი, რომ თავიდან იქნას აცილებული ინტერესთა კონფლიქტი და კორუფციის შესაძლებლობა, თუნდაც გარდამავალ ეტაპზე. ეს არის ამ კანონპროექტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი

გამოწვევა. ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტი კორუფციასთან და ინტერესთა კონფლიქტებთან საბრძოლველად არის მაქსიმალურად გამჭვირვალე და მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების პროცედურების საკანონმდებლო დონეზე შემოღება და დანერგვა.

- **თავი IX ტყის სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა.**

ამ ტიპის სარგებლობაზე კანონპროექტით შემოთავაზებული გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი არამონაწილეობითი და გაუმჭვირვალეა. ტყის სარგებლობის ეს სახე მუდმივად იქნება რეგიონებში კორუფციისა და კონფლიქტის წყარო, თუ არ გაუმჯობესდა საჯაროობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი. აქვე აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით ე.წ. „ტყის ფონდიდან“ ამორიცხულია ტყით დაუფარავი ტერიტორიები. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, თუ როგორ და რომელ ტერიტორიებზე იგეგმება ტყის სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა.

- **მუხლი 57. სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყის სარგებლობის სამართლებრივი საფუძველი**

- ამ მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობისათვის ფართობი შეირჩევა ტყის მართვის ორგანოს მიერ ან დაინტერესებული პირის ინიციატივით, ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე, კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით.“

ცვლილების განმარტება:

აღნიშნული ცვლილების მიზანია დაინტერესებული საზოგადოების ჩართულობის მექანიზმების შემოღება და კორუფციის პრევენცია. აუცილებელია კანონპროექტის 44-ე მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი (იხ. ზემოთ)

- **მუხლი 59. ტყის საკურორტო, სარეკრეაციო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობის სამართლებრივი საფუძველი**

- ამ მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. საკურორტო, სარეკრეაციო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით ტყით სპეციალური სარგებლობისათვის ტყის ფართობით სარგებლობაზე ადმინისტრაციული წარმოება იწყება ტყის სარგებლობაზე დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ან ტყის მართვის ორგანოს ინიციატივით, კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით.“

ცვლილების განმარტება:

აღნიშნული ცვლილების მიზანია დაინტერესებული საზოგადოების ჩართულობის მექანიზმების შემოღება და კორუფციის პრევენცია. აუცილებელია კანონპროექტის 44-ე მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი (იხ. ზემოთ)

- **თავი XI თევზის მეურნეობის და სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყით სარგებლობა**

აღნიშნული თავი საერთოდ არ განეკუთვნება ტყის კოდექსის სფეროს და კარგი იქნება, საერთოდ ამოღებული იქნას კანონპროექტიდან.

მეორე მოსმენისთვის წარმოდგენილ კანონპროექტში დაუსაბუთებლად არის ამოღებული პუნქტი, რომლის თანახმად თევზის მეურნეობის მოწყობა მხოლოდ ტყით დაუფარავ ტერიტორიებზე შეიძლებოდა. ეს ნიშნავს, რომ თევზის მეურნეობის მოსაწყობად საჭირო იქნება ტყის განადგურება, რაც დაუშვებელ საქმიანობას წარმოადგენს კანონპროექტის 72-ე მუხლის მიხედვით.

- **მუხლი 61. თევზის მეურნეობის და სამონადირეო მეურნეობის მოწყობის სამართლებრივი საფუძველი**

- ამ მუხლის 1-ლი პუნქტის პირველი წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. თევზის მეურნეობის ან სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყის ფართობით სარგებლობაზე ადმინისტრაციული წარმოება იწყება ტყით სპეციალურ სარგებლობაზე დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ან ტყის მართვის ორგანოს ინიციატივით, კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით.“

ცვლილების განმარტება:

აღნიშნული ცვლილების მიზანია დაინტერესებული საზოგადოების ჩართულობის მექანიზმების შემოღება და კორუფციის პრევენცია. აუცილებელია კანონპროექტის 44-ე მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი (იხ. ზემოთ)

• **მუხლი 63. ცხოველთა თავშესაფრის და სანაშენის მოწყობის სამართლებრივი საფუძველი**

- ამ მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. ცხოველთა თავშესაფრისა და სანაშენის მოწყობისათვის ტყის ფართობით სარგებლობაზე აღმინისტრაციული წარმოება იწყება ტყითსარგებლობაზე დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ან ტყის მართვის ორგანოს ინიციატივით, კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით.

ცვლილების განმარტება:

აღნიშნული ცვლილების მიზანია დაინტერესებული საზოგადოების ჩართულობის მექანიზმების შემოღება და კორუფციის პრევენცია. აუცილებელია კანონპროექტის 44-ე მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი (იხ. ზემოთ)

თავი XIII

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსება

• **მუხლი 64. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსების ტყითსარგებლობის მიზანი**

- მე-2 პუნქტს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება: „ფართობის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები ცხოველთა სამყაროს და დაცული სახეობების და მათ საბინადრო გარემოს დაცვასთან დაკავშირებით“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2. ფართობის შერჩევა არ უნდა მოხდეს ტერიტორიაზე, სადაც ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსებისათვის გახდება ხის (ხეების) მოჭრა 1 ჰექტარზე 20 კუბურ მეტრზე მეტი ოდენობით. თუ აღნიშნული ნაგებობის განთავსებისთვის სხვა ფართობის ალტერნატივა არ არსებობს, დასაშვებია ბუჩქნარისა და ქვეტყის პირწმინდად მოჭრა არაუმეტეს ფართობის 20%-ისა. ფართობის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები ცხოველთა სამყაროს და დაცული სახეობების და მათ საბინადრო გარემოს დაცვასთან დაკავშირებით“.

ცვლილების განმარტება:

ცვლილების მიზანია ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის პრევენციისათვის სამართლებრივი მექანიზმების გამყარება. აღნიშნულ საქმიანობას ხის ჭრის გარდა სხვა უარყოფით ზემოქმედებაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი - მაგალითად, „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობის ბუნაგის ან ბუდის მოშლა და /ან შეწუხება.

თავი XV ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა

ტერმინ „განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის“ ნაცვლად აქამდე კანონმდებლობაში გამოიყენებოდა „სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა“. ტყისა და სატყეო მიწების გამოყენების ეს ფორმა ტყის კოდექსის პირვანდელი რედაქციითაც (1999 წ.) იყო განსაზღვრული. ბოლო წლებში ამ საკითხის მარეგულირებელ კანონმდებლობაში უამრავი ცვლილება შევიდა, თუმცა ამ ცვლილებებმა ძალიან დაიგვიანა: ამ სახის ტყითსარგებლობის შედეგად, ტყის განადგურებისა და დეგრადაციის ტენდენციამ გადააჭარბა ტრადიციულ საფრთხეებს (არამდგრადი ტყის ჭრა და ძოვება). დღესდღეობით ეს საკითხი ტყის კოდექსითა (მუხლი 33) და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით (N242 20.08.2010) რეგულირდება⁴. ტყითსარგებლობის ეს ფორმა გამოიყენება იმ საქმიანობების განსახორციელებლად, რომელთა შედეგადაც ყველაზე მეტად ხდება ბიომრავალფეროვნების განადგურება და გარემოს დეგრადაცია: წიაღის მოპოვება, ელექტროსადგურების, ასევე მილსადენების, გზების და სხვა საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ურბანული განვითარება და ა.შ.

სამწუხაროდ, წარმოდგენილი კანონპროექტი ვერანაირ პრინციპულ სიახლეს ვერ გვთავაზობს.

• **მუხლი 68. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობის მიზანი.**

⁴ ამ საკითხის დასარეგულირებლად, მთავრობის დადგენილებით (N 228, 01.06.2011) „ტყითსარგებლობის წესს“ (მთავრობის დადგენილება N242 20.08.2010) დაემატა თავი V¹ „სახელმწიფო ტყის ფონდით“ სპეციალური სარგებლობა“

1. მუხლის ა) ქვეპუნქტის თანახმად, „განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელებისათვის, წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის, ჰიდროკვანძების, ელექტროსადგურების, მილსადენების, ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობისათვის ან/ და ბუნებრივ რეზერვუარში მოწყობილი გაზის საცავით სარგებლობისათვის, გზების, ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, ელექტრო ქსელებისა და არხების მშენებლობისათვის/ფუნქციონირებისათვის ან ამისათვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისათვის“

კანონი არ ადგენს იმ კრიტერიუმებს/პრინციპებს, რომელთა თანახმადაც უნდა განისაზღვროს, არის თუ არა პროექტი სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის. ჰესის მშენებლობა ან წიაღის მოპოვება (განსხვავებით სასმელი წყლით მომარაგების ან გაზის მშენებლობის პროექტებისგან) უმეტესწილად მნიშვნელოვანია მისი განმახორციელებელი კერძო პირისთვის, მისი ფინანსური ინტერესია, ხოლო სახელმწიფოებრივი ან საზოგადოება აქედან მინიმალურ სარგებელს იღებს.

კანონპროექტის ამ მუხლში უნდა განისაზღვროს პროექტი სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის კრიტერიუმი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მუდამ იქნება სპეკულაციებისა და კორუფციის წყარო.

• **მუხლი 68. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობის მიზანი**

- ამ მუხლის მე-2 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“2. ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მართვის ორგანო. თუ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის საფუძველზე, მაშინ გადაწყვეტილება მიიღება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. ყველა სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება საჯარო ადმინისტრაციული წესით”.

ცვლილების განმარტება:

ამ მუხლში ჩამოთვლილი საქმიანობების ნაწილი არ საჭიროებს გარემოსდაცვით ნებართვას. გარემოსდაცვითი/ტყის ეკოსისტემაზე ზეგავლენის თვალსაზრისით პრობლემურია ის საქმიანობები, რომლებიც შედიან ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს წიაღის ღია კარიერული წესით მოპოვება 10 ჰექტარზე ნაკლებ ფართობზე, ან ნებისმიერი მოცულობით/ნებისმიერ ფართობზე ქვიშა-ხრემის მოპოვება (მათ შორის სამეურნეო და საკურორტო და სარეკრეაციო ტყეში - იხ. კანონპროექტის 37-ე მუხლის მე-ე პუნქტი), 50 ჰექტარზე მეტი ტყის გაჩეხა სხვა კატეგორიის მიწად გარდაქმნისა და გამოყენების მიზნით; დაცულ ტყეში შეიძლება დაშვებული იქნას 2 მეგაჰატამდე ჰესის აშენება, 5 კილომეტრზე ნაკლები მილსადენის გაყვანა, 10000 მ³-ზე ნაკლები მოცულობის წყალსაცავის მშენებლობა. ეს ყოველივე შეიძლება განხორციელდეს გზმ-ს გარეშე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, ეკოსისტემების, ფლორისტული და ფაუნისტური კვლევების ჩატარებლად. ამრიგად, შემოთავაზებული რეგულირება არ ითვალისწინებს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებს. ამკარაა, რომ კანონპროექტის მომზადებისას არ იქნა გაანალიზებული ამ რეგულაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და მისი გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური შედეგები.

• **მუხლი 68. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობის მიზანი**

მე-5 პუნქტში არასწორად არის ნახსენები „მე-4 ნაწილი“. უნდა იყოს „მე-2 ნაწილი“

ცვლილების განმარტება:

ცვლილება რედაქციული ხასიათისაა

• **მუხლი 69. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მინიჭებაზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, პუნქტი 2.**

მე-2 პუნქტის თანახმად, „დაინტერესებული პირის განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) უნდა აკმაყოფილებდეს ამ კოდექსის (მათ შორის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის) საქართველოს

კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ და „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნებს.

კანონპროექტის წარმოდგენილი რედაქცია არ არის გასაგები დაინტერესებული საზოგადოებისათვის, ვინაიდან კანონპროექტის მეორე მოსმენის წინ გამართულ პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომაზე არ ყოფილა განხილული (არ ახლდა) ახალი ტყის კოდექსის თანამდევ კანონმდებლობის ცვლილებების პროექტები, მათ შორის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ცვლილებების პროექტი.

რაც შეეხება ინიცირებულ კანონპროექტების პაკეტში წარმოდგენილ კანონპროექტებს:

ტყის კოდექსის ინიცირებულ კანონპროექტთან ერთად წარმოდგენილი იყო კანონპროექტი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. მის თანახმად, „მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შენიშვნა: თუ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა იმავდროულად საჭიროებს სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალურ სარგებლობას, ტყის განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური სარგებლობისთვის დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია გზშ-ის ანგარიშს დაურთოს სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები.“

ანუ რა გამოდის: „ტყის კოდექსი“ და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ ერთმანეთისკენ ამისამართებენ ტყის განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობისათვის განმცხადებელ პირს, მაგრამ არც ერთი არ განმარტავს, თუ რა დოკუმენტაცია, რა კვლევები უნდა წარმოადგინოს დაინტერესებულმა პირმა.

აუცილებელია თავიდან დაიწეროს თანამდევ კანონპროექტი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილებების შესახებ“. საქმიანობის განმახორციელებელი არა „უფლებამოსილი“ უნდა იყოს, რომ გზშ-ის ანგარიშს დაურთოს სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები, არამედ უნდა ჰქონდეს შესაბამისი ვალდებულება და ტყის განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური სარგებლობის საკითხი განხილული უნდა იქნას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

• **მუხლი 69. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მინიჭებაზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველი**

- მე-4 პუნქტს დაემატოს სიტყვები (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტყითსარგებლის მიერ კომპენსირება სრულად არის გაკეთებული) და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„4. ტყითსარგებლის მიერ განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა ექვემდებარება კომპენსირებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა ამ კოდექსის ამოქმედებამდე 68-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნებისათვის გაცემული ტყითსარგებლობისა (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტყითსარგებლის მიერ კომპენსირება სრულად არის გაკეთებული) და/ან ამ კოდექსის ამოქმედებამდე არსებული 68-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის საჭირო განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობაზე.

ცვლილების განმარტება:

ფორმულირება დაზუსტებას საჭიროებს, ვინაიდან შეიძლება იყოს სიტუაცია, როდესაც ტყითსარგებლობის უფლება მინიჭებული ჰქონდა ამ კოდექსის ამოქმედებამდე, მაგრამ კომპენსაცია არ აქვს გადახდილი. ანუ ეს ნიშნავს, რომ წიაღის მომპოვებელმა კომპანიამ (მესტიამი, ონში, ჭიათურაში, თეთრ წყაროში, ბოლნისში, დმანისში გაცემული მანგანუმისა და ფერად ლითონების ლიცენზიების მფლობელები) ტყის პირწმინდა გაჩეხისთვის კომპენსაცია არ გადაიხადოს, თუ რაღაც მიზეზით არ აქვს ამ დრომდე გადახდილი.

რაც შეეხება შემდეგ ფორმულირებას - „68-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის საჭირო განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობაზე“ – ამის თანახმად, ასევე არ გადაიხდიან კომპენსაციას, არსებული ჰესების, მილსადენების და გადამცემი ხაზებისათვის წარმოებული რეგულარული ჭრების გამო. აღნიშნული რეგულაცია ეწინააღმდეგება გარემოსდაცვით პრინციპს „დამბინძურებელი იხდის“, რომელიც გარემოსდაცვითი სამართლის საფუძველს წარმოადგენს. ჩნდება ეჭვი, რომ მუხლი ამ სახით წარმოდგენილია სხვადასხვა დაინტერესებული ფინანსური ჯგუფების ზეწოლის შედეგად.

• **XV თავში** ზოგჯერ გამოყენებულია ტერმინი „განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობა“, ზოგჯერ კი - „განსაკუთრებული დანიშნულებით ტყის სპეციალური სარგებლობა“. ეს უკანასკნელი ტერმინია

გამოყენებული თანდართულ კანონპროექტში „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა არჩევანი რომელიმე ერთზე გაკეთდეს.

ეს არის რედაქციული ხასიათის შენიშვნა

თავი XVI ტყის დაცვა

- **მუხლი 70. საქართველოს ტყის დაცვის მიზანი**

- პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ა) საქართველოს ტყეებში ეკოლოგიური წონასწორობის მიღწევა და შენარჩუნება“

ცვლილების განმარტება:

„ეკოლოგიური წონასწორობის გაუმჯობესება“ - როგორც ეს კანონპროექტში წერია, არაფერს არ ნიშნავს, არც სამეცნიერო, არც მენეჯმენტის თვალსაზრისით და არც გრამატიკულად. წონასწორობა ან არის, ან არ არის.

- **მუხლი 70. საქართველოს ტყის დაცვის მიზანი**

- 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან უნდა ამოღებული იქნას სიტყვები „ღვარცოფების, ზვავების“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ბ) ნიადაგის ეროზიის, დაჭაობების და სხვა ისეთი პროცესების თავიდან აცილება, რომლებიც აუარესებს ნიადაგის მდგომარეობას“;

ცვლილების განმარტება:

გაუგებარია, როგორ უნდა დაიცვას ტყე ტყის მართვის ორგანომ ან სამინისტრომ ზვავისგან და სხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენებისგან. სტიქიური მოვლენის თავიდან აცილება შეუძლებელია, უნდა აიცილო ან შეამცირო ამ სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზიანი.

სავარაუდოდ, იგულისხმება, რომ ადამიანის საქმიანობამ არ უნდა გამოიწვიოს ნიადაგის ეროზია, დაჭაობება, ღვარცოფები, ზვავები და სხვა ისეთი პროცესები, რომლებიც აუარესებენ ნიადაგის მდგომარეობას. ამ შემთხვევაში, ეს პუნქტი გადატანილი უნდა იყოს ამავე მუხლის მე-2 პუნქტში.

- **მუხლი 70. საქართველოს ტყის დაცვის მიზანი**

პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- „გ) ბუნებრივი ტყეების თვითმყოფადობისა და ბუნებრივი პროცესების შენარჩუნება“;

ცვლილების განმარტება:

ტყის მდგრადი მართვის ამოცანას ყველა ბუნებრივი ტყის თვითმყოფადობის (ბუნებრიობის) შენარჩუნება წარმოადგენს და არა მხოლოდ „ხელუხლებელი ტყეების თვითმყოფადობის შენარჩუნება“, რომელიც საქართველო ტყის ფართობის დაახლოებით 17%-ს შეადგენს (წყარო: Global Forest watch).

- **მუხლი 70. საქართველოს ტყის დაცვის მიზანი**

- პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს უნდა დაემატოს სიტყვები „ჰაბიტატებისა და ჰაბიტატური უბნების“ და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დ) მცენარეთა რელიქტური, ენდემური, იშვიათი სახეობების, ჰაბიტატებისა და ჰაბიტატური უბნების დაცვა“.

ცვლილების განმარტება:

ტყის დაცვის უზრუნველყოფა შეუძლებელია მხოლოდ მცენარეთა სახეობების დაცვით. ტყის დაცვისა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის, აუცილებელია მაგალითად, სოკოების, მწერების სხვადასხვა ჯგუფის, ფრინველების დაცვა. ამავდროულად, ხეები/ტყე წარმოადგენს მათ ჰაბიტატს.

თავი XVII

ტყის აღდგენა-გაშენება

- **მუხლი 75. ტყის აღდგენა-გაშენების მიზანი**

- პირველი პუნქტიდან ამოღებული უნდა იქნას სიტყვები „სახეობრივი შემადგენლობის“ და „ტყით დაუფარავ ფართობებზე“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. ტყის აღდგენა-გაშენება არის სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა მრავალწლიანი ციკლი, რომლის მიზანია ნიადაგის დაცვა ქარისმიერი, წყლისმიერი და სხვა ეროზიული პროცესებისგან, აგრეთვე ტყის პროდუქტიულობის, დაცვითი და სხვა სასარგებლო ფუნქციების გაუმჯობესება, დაბალი სიხშირისა და წარმადობის კორომებში ტყის აღდგენა-გაშენების გზით“.

ცვლილების განმარტება:

ტყის-აღდგენა გაშენების მიზანი არ შეიძლება იყოს „სახეობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება“, ვინაიდან ეწინააღმდეგება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს. ასეთი ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის „ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის შესახებ“ კონვენციასთან. ეს არის საბჭოთა დროის მიდგომა - „ბუნების გაუმჯობესება“, რომლის გამოყენებითაც ხდებოდა მცენარეთა და ცხოველთა ინვაზიური სახეობების გავრცელება ბუნებაში და რასაც არაერთი ეკოლოგიური კატასტროფა მოჰყვა. ასევე არ შეიძლება ბუნებრივად ტყით დაუფარავ ტერიტორიებზე ტყის გაშენება - ეს შესაძლოა ბუნებრივი ეკოლოგიური პროცესებში უხეშ ჩარევას წარმოადგენდეს და ეწინააღმდეგება ტყის მდგრადი მართვის უმთავრეს პრინციპს - „ბუნებასთან ახლოს“. ასეთ უცნაურ პრაქტიკას ხშირად იყენებდნენ საბჭოთა პერიოდში - ტყის ფანჯრებში და მდელოებზე ეკოსისტემისთვის არაადამიანსადათებული სახეობები ირგებოდა - მაგალითად, ფიჭვები ფართოფოთლოვან ტყეებში.

• **მუხლი 76. ტყის აღდგენა-გაშენების დაგეგმვა და განხორციელება**

- ამ მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 მუხლი:

„11. აკრძალულია აღდგენა-გაშენების დროს არაადგილობრივი, ინვაზიური სახეობებისა და გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენება“.

ცვლილების განმარტება:

ცვლილების აუცილებლობა განპირობებულია ბიომრავალფეროვნების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, შეესაბამება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს და „ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის შესახებ“ კონვენციას.

თავი XVIII ტყის მოვლა

• **მუხლი 77. ტყის მოვლა და მისი მიზანი**

- 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან ამოღებული უნდა იქნას სიტყვები „ტყის სახეობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება“

ცვლილების განმარტება:

ცვლილების აუცილებლობა განპირობებულია ბიომრავალფეროვნების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, შეესაბამება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს და „ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის შესახებ“ კონვენციას.

• 79-ე მუხლით განსაზღვრულ ღონისძიებას ეწოდება „მოვლითი ჭრა“, 80-ე მუხლს ეწოდება „სანიტარიული ჭრა“, ხოლო თავად მუხლში საუბარია ღონისძიებაზე „მოვლითი სანიტარიული ჭრა“, 81-ე მუხლს სარეკონსტრუქციო ჭრა, ხოლო მუხლში საუბარია ღონისძიებაზე „მოვლითი სარეკონსტრუქციო ჭრა“. არსად არ წერია კოდექსში, რომ სანიტარიული და სარეკონსტრუქციო ჭრები წარმოადგენენ მოვლითი ჭრების ქვესახეობებს.

• **მუხლი 80. სანიტარიული ჭრა.**

გაუგებარია, რა იგულისხმება მე-2 პუნქტში აღნიშნულ „განსაკუთრებული აუცილებლობა“-ში და „სათანადო დასაბუთება“-ში. საჭიროა ცალსახად განიმარტოს, თუ ვინ უნდა დაამტკიცოს შემთხვევის განსაკუთრებულობა, რა ფორმით და რა ფორმით უნდა დაასაბუთოს.

თავი XIX

მეტყველების სფეროში შესაბამისი აკადემიური და პროფესიული განათლება

მუხლი 83. ტყის მართვაში მეტყვევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის სავალდებულო მონაწილეობა

- ამ მუხლს უნდა დაემატოს სიტყვები „ყველა ტყის მესაკუთრემ და ტყის მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ტყის მართვის ორგანომ, ყველა ტყის მესაკუთრემ და ტყის მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს ტყის მართვაში მეტყვეის და სატყეო საქმის სპეციალისტის კვალიფიკაციის მქონე პირების სავალდებულო მონაწილეობა“.

ცვლილების განმარტება:

კანონის მიღების შემთხვევაში საქართველოს ტყის მართვაზე პასუხისმგებელი იქნება არა მხოლოდ ეროვნული სატყეო სააგენტო, არამედ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია, საპატრიარქო. ასევე, შესაძლოა ტყის მფლობელი და მმართველი იყოს ჯავახეთის და ფშავ-ხევსურეთის მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიები, მომავალში შექმნილი დაცული ლანდშაფტებისა და მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიების მმართველები, კერძო მფლობელები, ავტონომიური რესპუბლიკები. ყველა მათგანმა უნდა უზრუნველყოს ტყის მართვაში მეტყვეისა და სატყეო საქმის სპეციალისტის სავალდებულო მონაწილეობა. ეს უნდა იყოს ტყის მართვაში გადაცემის აუცილებელი წინაპირობა.

თავი XX

მეტყვეისა და სატყეო საქმის სპეციალისტის დაცვის გარანტიები

- ამ თავის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „მეტყვეისა და სატყეო საქმის სპეციალისტის სოციალური დაცვის გარანტიები“

ცვლილების განმარტება:

ცვლილება რედაქციული ხასიათისაა.

• **მუხლი 89. ტყის სფეროში დასაქმებულ პირთა სტიმულირება**

- ამ მუხლის მე-3 პუნქტს უნდა დაემატოს სიტყვები: ასევე ფინანსური და სხვა სახის წახალისება, სტაჟისა და დამსახურების შესაბამისად და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„3. ტყის სფეროში დასაქმებული სხვა პირების მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იქნას სტიმულირების ღონისძიებები - მაღლობის გამოცხადება, ასევე ფინანსური და სხვა სახის წახალისება, სტაჟისა და დამსახურების შესაბამისად“.

ცვლილების განმარტება:

კანონპროექტი შემოთავაზებულ სტიმულირების ღონისძიებებს არაფერი აქვს საერთო არც დასაქმებულთა სოციალურ დაცვასთან და არც რეალურ სტიმულირებასთან. ათი წლის წარმატებული მუშაობისთვის მხოლოდ სამკერდე ნიშნის მიწიჭება არ წარმოადგენს კარგ სტიმულს ამ საქმიანობის გაგრძელებისათვის.

თავი XXII

გარდამავალი დებულებანი

• **მუხლი 92. ტყითსარგებლობის ლიცენზიის, იჯარის და მიწენის მიზნით ტყითსარგებლობის და სხვა საკითხების გარდამავალი მოწესრიგება**

- ამ მუხლიდან ამოღებული უნდა იქნას მე-4 პუნქტი

ცვლილების განმარტება:

ამ პუნქტის თანახმად, ელექტროსადგურების, მილსადენების, ელექტრული ქსელების არსებული ინფრასტრუქტურის უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით, მათი დაცვის ზონებში მოხვედრილ ფართობებზე, განაკაფის ზოლის დასაცავად ხე-მცენარეების მოჭრა განხორციელდეს კომპენსაციის გარეშე.

კომპენსაციიდან გათავისუფლება არის სრულიად დაუსაბუთებელი და ეწინააღმდეგება მდგრადი განვითარების უმთავრეს პრინციპს „დამბინძურებელი იხდის“.

• **მუხლი 95. კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები/გამოსაცემი ნორმატიული აქტები**

- ამ მუხლის პირველი პუნქტში სიტყვები „2030 წლამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „2023 წლის 1 იანვრამდე“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. საქართველოს მთავრობამ 2023 წლის 1 იანვრამდე შეიმუშავოს „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის“ განსაზღვრის კრიტერიუმები და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესი“.

ცვლილების განმარტება:

წარმოდგენილი რედაქციით, საქართველოს მთავრობამ 2030 წლამდე უნდა შეიმუშავოს „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის“ განსაზღვრის კრიტერიუმები და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესი. 10 წელი ძალიან დიდი პერიოდია იმისათვის, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტისათვის ტყეების გადაცემის კრიტერიუმები და წესები შემუშავდეს. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე წელი იქნება საჭირო გადაცემის პროცესის დასაწყებად. ეს ნიშნავს, რომ პრაქტიკულად არასოდეს არ მოხდება ადგილობრივი ტყეების გადაცემა, ხოლო პირველი წაკითხვის შემდეგ კოდექსში მუნიციპალური ტყეების დაშვება, სინამდვილეში დაინტერესებული საზოგადოების შეცდომაში შეყვანა იქნება. ორი წელი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ საზოგადოების ფართო მონაწილეობით ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესი და კრიტერიუმები შემუშავდეს.

• **78. მუხლი 96. კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები**

პირველი პუნქტის თანახმად, კოდექსის ამოქმედებამდე არსებული სახელმწიფო ტყის ფონდი მიიჩნევა სახელმწიფო ტყედ და ტყის მიწებად, რომლის საზღვრები დგინდება „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს #299 დადგენილებით“ .

უნდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც არ აქცევს მთავრობა ყურადღებას: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილების „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ტყის ფონდი მოიცავს მხოლოდ ფსხუ-გუმისთის, რიწის და ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალებს, რომლებსაც მართავს დაცული ტერიტორიების სააგენტო. შესაბამისად, კანონპროექტის მე-20 მუხლიდან ამოღებული უნდა იქნას „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა“, ვინაიდან საქართველოს მთავრობის ზემოხსენებული დადგენილებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამეურნეო ტყის ფონდი გაუქმებულია. იგივე კანონქვემდებარე აქტში რჩება კურიოზული საკითხები: შავი ზღვის ნაწილი (რომელიც კოლხეთის ეროვნულ პარკში შედის) ისევე როგორც ჯავახეთის ტბები, მიკუთვნებულია სახელმწიფო ტყის ფონდზე.

საჭიროა, რომ უმოკლეს ხანში გამოსწორდეს „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს #299 დადგენილებაში“ არსებული ეს ხარვეზები.